საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/45

ქ. ბათუმი 10 ივნისი, 2021 წ.

ბსუ-ში ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესის
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, Erasmus+CBHE ინსტიტუციური განვითარების პროექტის: „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)”, **TURNITIN, LLC** კალიფორნიის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2021 წლის 22 იანვარს („ქმედითი თარიღი“) დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №16 ხელშეკრულების, „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის დადგენილება №06-01/71, რექტორის მოადგილის თამარ სირაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 21 0000547217, 09.06.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ში ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესი (**დანართი 1**).
2. დაევალოს რექტორის მოადგილეს/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უზრუნველყონ ფაკულტეტებიდან (ფაკულტეტების დეკანებსა ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები) იმ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა, რომლის განხორციელების პროცესში გამოიყენება ანტიპლაგის პროგრამა. წარმოდგენილი ინფორმაცია დამუშავდეს და წარმოდგენილი იქნეს სამსახურებრივი ბარათები წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით.
3. დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტსა და იურიდიულ დეპარტამენტს წარმოადგინონ სტუდენტის გზამკვლევში შესატანი ცვლილების პროექტი, წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება დაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს (დეკანებს, მათ მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და დარგობრივი დეპარტამენტებს), სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს), ნანა მაკარაძეს და ამირან შარაძეს.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 ივნისის
№06-01/45 დადგენილების

დანართი 1.

ბსუ-ში ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესი

1. **,,ბსუ-ში ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესი“** (შემდეგში - ,,წესი“) **შემუშავებულია TURNITIN, LLC** კალიფორნიის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიასა („ტურნიტინ“) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (შემდეგში - **„დაწესებულება“ ან ,,ბსუ“)** შორის **2021 წლის 22 იანვარს** („ქმედითი თარიღი“) დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №16 (შემდეგში - „ხელშეკრულება“) საფუძველზე.

2. ტურნიტინის მიერ შემუშავებული პროგრამა ხორციელდება უნიკალური მომსახურების სახით, რომელიც საშუალებას აძლევს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეამოწმონ სტუდენტთა ნაშრომები შესაძლო ტექსტუალური დამთხვევების თაობაზე ინტერნეტში არსებული რესურსებისა და საკუთარი მონაცემთა ბაზის მიხედვით **(შემდეგში - „მომსახურება“)**.

3. აღნიშნული მომსახურება დაწესებულებამ/ბსუ-მ შეისყიდა, როგორც პლაგიატის გამოვლენის და პრევენციის ინსტრუმენტი, რათა აკადემიური კეთილსინდისიერება დაიცვას და განავითაროს სასწავლო გეგმებსა და სტუდენტებში.

4. ბსუ-ს მიერ შესყიდული მომსახურების გამოყენების ლიცენზია (არა-ექსკლუზიური უფლებით ვინმესთვის გადაცემის უფლების გარეშე), ვრცელდება დაწესებულებაში დასაქმებულ ბსუ-ს სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალზე **(შემდეგში - „ინსტრუქტორები“),** მათ მიერ მხოლოდ დაწესებულების მიერ შეთავაზებული მეცადინეობებისათვის გამოსაყენებლად იმ პირობით, რომ ინსტრუქტორები დაექვემდებარებიან ამ **რეგისტრაციის ხელშეკრულების** პირობებს და ანგარიშვალდებულნი იქნებიან ამ ხელშეკრულების პირობების მიმართ, როგორც დაწესებულების წევრები.

5. **რეგისტრაციის ხელშეკრულების** თანახმად, დაწესებულება პასუხისმგებელია მათი ინსტრუქტორების მიერ რეგისტრაციის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, შესაბამისად, ინსტრუქტორების მიერ ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში განახორციელებს ბსუ-ს შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

6. მომსახურების გამოყენებასთან დაკავშირებით, დაწესებულება და შესაბამისად, **ინსტრუქტორი, ვალდებულია:**

ა. დაიცვას გამოყენების მისაღები პოლიტიკა, მოცემული Turnitin.com საიტის *გამოყენების პოლიტიკაში,* რომელიც აქ ჩართულია **რეგისტრაციის ხელშეკრულების** პირობებში და რომელსაც ტურნიტინი დროდადრო განაახლებს. *გამოყენების მისაღები პოლიტიკის* ყოველი ასეთი განახლება განთავსდება Turnitin.com საიტზე. მომსახურების მუდმივი გამოყენება წარმოადგენს დაწესებულებისა და მისი ინსტრუქტორების თანხმობას პოლიტიკის მომავალი ცვლილებების შესრულებაზე;

ბ. გამოიყენოს მომსახურება მხოლოდ საკუთარი კურიკულუმით შეთავაზებული მეცადინეობების ფარგლებში, მხოლოდ საკუთარი სტუდენტებისათვის („სტუდენტები“), სტუდენტთა ნამუშევრების შეფასებისათვის წარდგენის მიზნით, და არ გასცეს ქირით ან

იჯარით, არ გადასცეს მომსახურებაზე წვდომა ან სარგებლობა სხვა დაწესებულებებს ან ინდივიდუალურ პირებს;

გ. გამოიყენოს გონივრული ძალისხმევა მომსახურების ყველა პაროლის კონფიდენციალურობის შესანარჩუნებლად;

დ. არ განუცხადონ სტუდენტებს, რომ დაწესებულება იყენებს მომსახურებას მოცემულ კლასში/საგანში, როცა ეს კლასი/საგანი არ არის რეგისტრირებული (**შენიშვნა:** მომსახურებით მოსარგებლე ერთი კონკრეტული კლასის ფარგლებშიც კი, სამართლიანობისა და თანაბარი გამოყენების მიზნით, ტურნიტინის მკაცრი რჩევაა, მოითხოვოთ სტუდენტების მიერ ყველა ნაშრომის წარდგენა და არა ინსტრუქტორების მიერ მხოლოდ მათ (ინსტრუქტორების) მიერ შერჩეული ნაშრომების წარდგენა);

ე. გაითვალისწინოს **ტურნიტინის მკაცრი რეკომენდაცია,** რომ მომსახურებით მოსარგებლე კურსის **ყველა სილაბუსი შეიცავდეს არსებით შეტყობინებას შემდეგზე:** „სტუდენტები თანხმდებიან, რომ ამ კურსის გავლის დროს ყველა მოთხოვნილი ნაშრომი დაექვემდებარება წარდგენას ტექსტუალური მსგავსების შესამოწმებლად Turnitin.com-ს, პლაგიატის დადგენის მიზნით. ყველა წარმოდგენილი ნაშრომი შეტანილი იქნება Turnitin.com-ის საცნობარო მონაცემთა ბაზაში წყარო დოკუმენტების სახით მხოლოდ და მხოლოდ ამ დოკუმენტებში პლაგიატის დადგენის მიზნით. Turnitin.com მომსახურების გამოყენება ექვემდებარება Turnitin.com-ის საიტზე გამოქვეყნებულ გამოყენების პოლიტიკას.“ იმ შემთხვევაში, თუ მომსახურებით სარგებლობა განხორციელდება სილაბუსების გავრცელების შემდეგ, დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ტურნიტინის მკაცრი რეკომენდაცია, რომ სტუდენტებს ანალოგიური შეტყობინება დაეგზავნოთ წერილობითი სახით ინსტრუქტორების მიერ;

ვ. გაითვალისწინოს **ტურნიტინის მკაცრი რეკომენდაცია,** რომ სტუდენტებმა დაწესებულებაში ჩარიცხვისთანავე მიიღონ ამ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია **სტუდენტის გზამკვლევის** მეშვეობით ან ბსუ-ში ჩარიცხვის დროს;

7. ტურნიტინს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუჩეროს დაწესებულებას, მის ინსტრუქტორებს ან სტუდენტებს წვდომა მომსახურებაზე, რათა:

ა) თავიდან აიცილოს მომსახურების დაზიანება ან გაუარესება;

ბ) დაიცვას ნებისმიერი კანონი, დებულება, სასამართლოს გადაწყვეტილება ან სხვა სამთავრობო მოთხოვნა;

გ) სხვამხრივ დაიცვან ტურნიტინი პოტენციური იურიდიული პასუხისმგებლობისაგან; ან

დ) აღმოფხვრან დარღვევა გამოყენების მისაღებ პოლიტიკაში, რომელიც მოცემულია Turnitin.com საიტის *გამოყენების პოლიტიკაში (*ტურნიტინი განაახლებს მომსახურებაზე წვდომას, როგორც კი გაირკვევა და გამოსწორდება შეჩერების მიზეზი).

8. დაწესებულება თანხმდება, რომ:

ა) მხარს დაუჭერს ტურნიტინის ყველა შეტყობინებას (მათ შორის, იურიდიულ ცნობებს, რომლებიც შეეხება ტურნიტინის საკუთრების უფლებებს, მაგ. საავტორო უფლება და სავაჭრო ნიშანი) და აცილებას მსგავსების ანგარიშებზე;

ბ) გამოიყენებს თავის დამოუკიდებელ პროფესიონალურ განსჯას და აიღებს ერთადერთ და ექსკლუზიურ პასუხისმგებლობას **წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის ფაქტობრივი არსებობის დადგენის თაობაზე,** იმის გააზრებით და აღიარებით, რომ მსგავსების ანგარიშები წარმოადგენს შესადარებელ დოკუმენტებს შორის ტექსტუალური მსგავსების ფაქტობრივი დადგენის მხოლოდ ინსტრუმენტებს და არავითარ შემთხვევაში პლაგიატის არსებობის საბოლოო გადაწყვეტილებას (განაჩენს);

გ) მსგავსების ანგარიშების მესამე მხარისათვის ნებისმიერი გამჟღავნება

დაწესებულების რისკს წარმოადგენს; და

დ) დაწესებულების და/ან მისი ინსტრუქტორებისა და სტუდენტების მიერ წარდგენილი ყველა ნაშრომი შეინახება წყაროების მონაცემთა ბაზაში მხოლოდ იმ მიზნით, რომ გამოყენებული იქნება, როგორც წყარო მასალა მომავალში ანალოგიურ ნაშრომებში პოტენციური პლაგიატის შემთხვევების დასადგენად, ასევე ინსტრუქტორებისათვის, როგორც საარქივო მასალებისათვის ხელმისაწვდომად, ექსპერტების რეცენზირებისათვის, თუ ინსტრუქტორი დაუშვებს ასეთის შესაძლებლობას, სტუდენტების და/ან ინსტრუქტორების მხრიდან ღია თანხმობის შემთხვევაში.

9. ტურნიტინი რეგისტრაციის ხელშეკრულების თანახმად საშუალებას მისცემს **ლიცენზიის** (account) **ადმინისტრატორებს** (ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების განყოფილების უფროსი/სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი) შექმნან ინსტრუქტორთა ლიცენზიები, რომლებიც უნდა დაექვემდებარონ რეგისტრაციის ხელშეკრულების მოთხოვნებს, დაიცვან ხელშეკრულებისა და Turnitin.com საიტის გამოყენების პოლიტიკის პირობები.

10. ტურნიტინი დაწესებულებას გაუწევს გონივრულ მხარდაჭერას, ელფოსტის და ტელეფონის საშუალებით, დაწესებულების მიერ დანიშნული **ერთადერთი და ძირითადი ლიცენზიის ადმინისტრატორის** (ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების განყოფილების უფროსი/სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი) მეშვეობით.

11. ტურნიტინის მომსახურების ღირებულება ასახულია ხელშეკრულებაში (“SPA”), რომელიც მოიცავს დაწესებულებისათვის ნებადართული მომსახურების მაქსიმალურ გამოყენებას (დაწესებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ამ რაოდენობას, SPA-ს შესაბამისად დამატებითი გამოყენების შეძენის გარეშე). ყველა გადახდა უნდა განხორციელდეს ინვოისის დღიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში. აღნიშნულის შემდეგ გადახდები ითვლება დაგვიანებად და დაერიცხება პროცენტები, თვეში არანაკლებ 1.5%, ტურნიტინის ხელშეკრულებაში აღნიშნული წესით.

12. წინამდებარე წესის მოთხოვნათა შესრულების კოორდინირება (მათ შორის ტურნიტინთან ლიცენზიების შესახებ კომუნიკაცია) უნდა განხორციელდეს ძირითადი ლიცენზიის ადმინისტრატორის მიერ, ხოლო კონტროლი მათ აღსრულებაზე უნდა განხორციელდეს რექტორის მოადგილეების მიერ (მათი კომპეტენციების შესაბამისად).